საქართველოს მთავრობის

დადგენილება №189

2015 წლის 27 აპრილი

ქ. თბილისი

„მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №173 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №173 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11.07.2013, სარეგისტრაციო კოდი 470030000.10.003.017339) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ დადგენილებით დამტკიცებული „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ობიექტების: საქვაბე დანადგარი, წნევაზე მომუშავე ჭურჭელი - გეგმური ტექნიკური ინსპექტირება ხორციელდება ყოველ მეოთხე წელს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**